საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10861/01
19/10/2021

10861-01-2-202110191026

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი 2021 წლის 28 სექტემბრის N36-362127125 (სამინისტროს რეგისტრაციით N17434) წერილის პასუხად, რომელიც ეხება დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადებისა და დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- საბაზისო კვლევებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „კონკრეტული წინადადებები ან/და მოთხოვნები იქნა წამოყენებული გარემოს დაცვის სამინისტროს მხრიდან“(გვ. 29). ასევე აღნიშნულია, რომ „სკოპინგის დასკვნის თანახმად, სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია და ასასახი შემდეგი ინფორმაცია“, „დეტალურად გარემოს დაცვის საბაზისო კვლევების და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ მოთხოვნები ჩამოყალიბებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ სკოპინგის დასკვნაში“(გვ. 30), **როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნა გაცემული არ არის;**
- **დოკუმენტში მოცემულია სხვა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტაციიდან ინფორმაცია, კერძოდ, გრიგოლეთის სანაპირო ზოლის დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია (გვ. 20-21), გრიგოლეთი და ყვავილნარია მითითებული ასევე ღონისძიებების ჩატარების ჩამონათვალში (გვ. 6), ასევე სამედიცინო პუნქტის არარსებობასთან დაკავშირებით (გვ. 19), რაც საჭიროებს გადამუშავებას;**
- თავი 4.3. დაცული ტერიტორიები (გვ. 21) - აღნიშნულ თავში ტექსტი არის გასამართი. სრულფასოვნად და თანაბრად უნდა იქნეს მოცემული ინფორმაცია მიმდებარედ არსებულ ყველა დაცულ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით კინტრიშის ნაკრძალსა და პონტოს მუხის აღკვეთილზე, რომლებიც სამიზნე ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორიებია. რაც შეეხება კოლხეთის ეროვნულ პარკს, იგი საკმაოდ მოშორებულია ტერიტორიიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, ტექსტში ძირითადად საუბარია კოლხეთის ეროვნულ პარკზე, მაშინ როდესაც მტირალას ეროვნული პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები უფრო ახლოს მდებარეობენ საპროექტო არეალთან. ასევე, დაბა გომის საპროექტო ტერიტორია ექცევა გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში. მიზანშეწონილია, ტექსტში მითითებულ იქნეს აღნიშნული გარემოება. სასურველია, საკითხი განხილულ იქნეს ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

დაარსების შესაძლებლობის შეფასებისა და მიზანშეწონილობის კუთხით. 4.4. თავში-საერთაშორისო სტატუსის მქონე ტერიტორიები (გვ. 21) აღნიშნულ თავშიც გასათვალისწინებელია იგივე შენიშვნები, რაც 4.3-ში;

- დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის მატერიალური ფორმით წარმოდგენილი განცხადება და ელექტრონული დოკუმენტაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, ასევე მატერიალური ფორმით წარმოდგენილი განცხადების გვერდები და მათი ნუმერაცია არეულია და საჭიროებს შესწორებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაკორექტირებული სკოპინგის განცხადებისა და დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის წარმოდგენის შემდგომ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე